

„საქართველოს პარლამენტის სასახლეში და მიმდებარე ტერიტორიაზე უსაფრთხოების დაცვის რეჟიმის შესახებ“ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის 2016 წლის 2016 წლის 30 დეკემბრის №259/3 ბრძანების

დ ა ნ ა რ თ ი №8

ქალაქ ქუთაისში მდებარე საქართველოს პარლამენტის სასახლეში №1, №2 და №5 საგუშაგოებიდან შემოსვლის უფლების მქონე პირთა ნუსხა

1. საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე;
2. საქართველოს პრეზიდენტი;
3. საქართველოს პრემიერ-მინისტრი;
4. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი;
5. საქართველოს პარლამენტის წევრები;
6. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე და წევრები;
7. საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე და წევრები;
8. საქართველოს მინისტრები და სახელმწიფო მინისტრები;
9. საქართველოს სახალხო დამცველი;
10. საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტი და ბანკის საბჭოს წევრები;
11. გენერალური აუდიტორი და მისი მოადგილეები;
12. საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე და წევრები;
13. ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანი და მისი მოადგილეები;
14. საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსი;
15. საქართველოს მთავარი პროკურორი;
16. საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსი;
17. საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის უფროსი;
18. საქართველოს პრეზიდენტის საპარლამენტო მდივანი;
19. საქართველოს მთავრობის საპარლამენტო მდივანი;
20. საქართველოს მინისტრების მოადგილეები;
- 20¹. საქართველოს სახალხო დამცველის პირველი მოადგილე და მოადგილეები;
21. აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების წევრები;
22. აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების მთავრობების წევრები;
23. საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩები უცხო ქვეყნებში;
24. უცხო ქვეყნების საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩები და დიპლომატიური მისიების ხელმძღვანელები საქართველოში;

25. 2012–2016 წლების მოწვევის საქართველოს პარლამენტის წევრები (მომდევნო ერთი მოწვევის პარლამენტის უფლებამოსილების პერიოდში, 2016–2020 წლებში);

26. საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საზოგადოებრივი მაუწყებლის გენერალური დირექტორი;

27. საქართველოს პარლამენტში აკრედიტებული მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა წარმომადგენლები;

28. პარლამენტის პლენარულ სხდომაზე მოწვეული სხვა თანამდებობის პირები;

29. საქართველოს პარლამენტის აპარატის საჯარო მოსამსახურეები;

30. საპარლამენტო უმრავლესობისა და უმცირესობის, საპარლამენტო ფრაქციების, პარლამენტის საგამოძიებო და სხვა დროებითი კომისიების აპარატებისა და მაჟორიტარი პარლამენტის წევრების ბიუროების თანამშრომლები;

31. საქართველოს პარლამენტის სასახლეში განთავსებული ორგანიზაციების თანამშრომლები;

32. ამ ბრძანების მე-9 პუნქტით გათვალისწინებული სხვა პირები;

33. პირები, რომლებზედაც დაშვებულია საქართველოს პარლამენტის სასახლის შესაბამის კორპუსში შემოსასვლელი საშვი.